[illegible]

№ 367 1918 წ. შაბათი. ოქტომბერი 26. № 367

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

ბორჩალოს მაზრაში საალყო წესები გამოცხადდა. შესაძლებელია გერმანელთა ჯარის ნახევარი წავიდეს საქართველოდან. საქართველო—სომხეთის უთანხმოების მშვიდობიანად დამთავრების იმედი კიდევ არის. ოსმალეთი ინგლისს სეპარატიულ ზავზე ელაპარაკება. ფილიპოპოლი მოკავშირეებმა აიღეს, ხოლო ანდრიანოპოლს უახლოვდებიან.

ისიდორე სოფრომის ძე ვარაზაშვილი და შვილები მისი თალიკო და სოსიკო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათი დაუვიწყარი მეუღლისა და დედიკოსი

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ს. ცხრუკვეთში, მიცვალებულის საფლავზე, კვირას, ოქტომბრის 27-ს, დილის 10 საათზე. 2185

პარლამენტის წევრი ალექსანდრე და პორუჩიკი ვლადიმერ იოსების ძენი, მეუღლენი მათი: ელისაბედ ნიკოლოზის ასული და ნინო კონსტანტინეს ასული წერეთლები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მარად დაუვიწყარის დის

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ანჩისხატის ტაძარში კვირას, ოქტომბრის 27 ს. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, პანაშვიდი დღის 12 საათზე. 2185

სოფრომ მარკოზის ძე და მანიჟან ნიკოლოზის ასული ვარაზაშვილები შვილებითა და რძლებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი რძლის

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ანჩისხატის საკრებულო ტაძარში, კვირას, ოქტომბრის 27-ს. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 2185

ქიათურის დრამატიული საზოგადოების გამგეობა და სცენის მოყვარეთა წრე აუწყებს საზოგადოებას, რომ დაუვიწყარი წევრისა და თანამშრომლის

ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე ქიათურის თეატრის დარბაზში კვირას, ოქტომბრის 27-ს, დღის 12 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი. 2185

გაუბედურებული მშობლები—ოლღა კონსტანტინეს ასული და ერასტი სიმონის ძე თუთბერიძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველთა დაუვიწყარ შვილის უკანასკნელის ძმის

სერიოჟასი

დანიშნულია ოქტომბრის 27-ს დღით კვირას დილის ათ საათზე ქ. ქუთაისში ბაგრატის ტაძარში. 2235

გულდათუთქული მშობლები ვარლამ ალექსანდრეს ძე და სოფიო გრიგოლის ასული ავალიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ოქტომბრის 27-ს გადახდილი იქნება უდროოდ გარდაცვლილს

საშას

წლის წირვა და პანაშვიდი კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. 2237

მეუღლე ეკატერინე სპირიდონის ასული მელუა პატარა ქეთინოთი, სიდედრი ელისაბედ ზაქარიას ასული შვილებით ანტონ და მიხეილ უთმელიძეები: აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, ოქტომბრის 27-ს ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი აწყურის ბრძოლაში მოკლულის პორუჩიკის

ალექსი ლუკას ძის მელუას

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 9 საათზე პანაშვიდი 11 საათზე. 2238

ღრმად დამწუხრებულნი ბიძები დომენტი და პანტელეიმონი და ძალოები ნინო და მანია აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, ოქტომბრის 24-ს დილის 8 საათზე გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასი და დაუვიწყარი პირველთა ძმისწული და მეორეთა მაზლისწული პრაპორშჩიკი

ვასილი ისიდორეს ძე ხმალაძე

დაკრძალვა მოხდება კვირას, ოქტომბრის 27-ს, ნაძალადევი სახლი ხმალაძისა, მუშათა ქუჩა ნაძალადევის ეკლესიაში და იქიდან კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე გამოსვენება სახლიდან დილის 9 საათზე. 2243

ნიკოლოზ საბას ძე, ელენე ილარიონის ასული ცომაიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას, საყვარელ დის და მულის

ლიზა (ელისაბედ) საბას ასულ ერქომაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ოქტომბრის 26-ს ქვაშვეთის ეკლესიიდან წირვის შემდეგ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დასაკრძალავად. 2239

ცეცხლ მოკიდებული ანა (ტატულია) საბას ასული, თამარ და ელენე ნიორაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ძვირფას საყვარელ იმედის დის და დეიდის

ლიზა (ელისაბედ) საბას ასულის ერქომაიშვილისას.

გამოსვენება დღეს, ოქტომბრის 26-ს ქვაშვეთის ეკლესიიდან წირვის შემდეგ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დასაკრძალავად. 2239

სილოვან ნიკოს ძე, ნინო (ცაუტია) ლევანი და ნადეჟდა ერქომაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე და მეგობარი, მეორეთა თავდადებული დედა

ლიზა [ელისაბედი] საბას ასული ერქომაიშვილი

გამოსვენება დღეს ოქტომბრის 26-ს ქვაშვეთის ეკლესიიდან წირვის შემდეგ დასაკრძალავად კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2239

დამწვარი დედა ქრისტინე მიხეილის ასული და მარიამ საბას ასული ცომაიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათ ნუგეშის, იმედის შვილის და დის უდროოდ გარდაცვალებას

ლიზა (ელისაბედ) საბას ასულ ერქომაიშვილისას.

გამოსვენება დღეს, ოქტომბრის 26-ს ქვაშვეთის ეკლესიიდან წირვის შემდეგ დასაკრძალავად კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 2239

ოქტომბრის 25-ს გარდაიცვალა

ღენერალ-მაიორი ალექსანდრე (საშა) იოსების ძე კოზიაშვილი,

რასაც ნათესავთ და ნაცნობთ აუწყებს ქვრივი ბარბარე თეოფანეს ასული შვილებით—დიმიტრი და თეოფანე, და რძლით—ელენე ქაიხოსროს ასულით პანაშვიდი დანიშნულია შაბათს, ოქტომბრის 26-ს დღის პირველ საათზე და საღამოს ექვს საათზე საკუთარ სახლში: „ნაბერეჟნაია" 21. გამოსვენება იქნება კვირას, ოქტომბრის 27 ს დილის 9 საათზე ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება ნავთლუღის წმ. ბარბარეს ეკლესიაში იმავე დღეს. 2241

დეკანოზი წმ. ბარბალეს ეკლესიისა მამა ვასილ გრიგოლის ძე კარბელაშვილი შვილებითურთ და რძლით მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ გარდაცვალებას პირველის ქვისლის დანარჩენის მამის გენერალ-მაიორ

ალექსანდრე იოსების ძის კოზიაშვილისას

პანაშვიდები შაბათს, 1 საათზე და საღამოთი 7 საათზე გასვენება კვირას 27 ოქტ. დილით 9 საათზე ჩუღურეთის ნიკოლოზის ეკლესიაში. სადაც გადახდილი იქნება წირვა და ანდერძი, შემდეგ წაასვენებენ ნავთლუღის წმ. ბარბალეს ეკლესიის გალავანში დასაკრძალავად. 2240

ცირკი „მოდერნი"

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოქტომბრის 26-ს, გაიმართება

დიდი ბენეფისი ცნობილ ქართველ მსახიობის **ნიკოლინისა**

(ნიკო მაღალაშვილი). დღეს მობენეფისე ჩეოთხედ გამოვა. დღეს მსოფლიო სენსაციაა. ნიკოლინი ცირკში ჰაეროპლანით აფრინდება. დღეს უდიდესი კაბარე, ტფილისელი ვანო სამსახურში. მონაწილეობს მთელი დასი. აგრეთვე მონაწილეობენ ყველა ახალი მსახიობები.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 1292

მოქალაქენო, გაერთიანდით!

ცენტრალური გაერთიანებული კომისია მოქალაქეთათვის პურის მისაწოდებლად დაარსებული, რომელიც შესდგება გერმანელთა სამეურნეო მისსიის წარმომადგენელისა, ქალაქთა კავშირებისა და ტფ. ქალაქის გამგეობისაგან ამით აცხადებს, რომ **ნოემბრის დამდეგს** მოქალაქეებს მიეცემათ სულზე **ნახევარი გირვანქა პური** დაახლოებით 1 მ. 50 კ. გირვანქა.

პური მიეცემა **მხოლოდ სახლის კომიტეტებს**, ან გაერთიანებულ კომიტეტებს იმ წესით, რომელიც შემუშავებული იყო ტფილისის ქალაქის გამგეობის მიერ.

პურის გაყიდვის ადგილები ჩამოთვლილია ყველა საუბნო სასურსათო კომიტეტში.

მოქალაქენო, დაარსეთ სახლის და სარაიონო კომიტეტები.

1382 **ტფ. ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.**

საინჟენერო-სატეხნიკო სექცია იწვევს სამხედრო სამსახურში უკვე წინანდელ სამსახურში ვადა შესრულებულ უნტერ-ოფიცერთ და ზედამდეგებს (ფელდფებელებს) საპიორთა და ტელეგრაფისტებთა შემდეგს პირობებზე: კანონით გარდა სახელმწიფო ულუფისა, ტან-საცმელისა და ჯარისკაცის ჯამაგირისა დამატებით მიეცემათ კიდევ 250 მანეთი ყოველ თვე, ზემოხსენებულ პირთ. მსურველთ ევალებათ გამოცხადების დროს უსათუოდ წარმოადგინონ თავიანთ უწინდელი სამსახურის შესახებ საჭირო საბუთები; ვისაც ეს საბუთები არ ექნება, საქმსახურში მიღებული ვერ იქნება. დაწვრილებით ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ ტფილისში საინჟენერო-სატეხნიკო სექციაში ყოფილი მთავარი შტაბის შენობაში სასახლის ქუჩაზე, ნაშუადღევის 2 საათიდან ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმე დღეებისა. 1375

ტფილისი, ოქტომბრის 26.

საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო

თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკვე გადალახულია ის საზღვარი, რომლის იქითაც მოსჩანს დიდი ხნის სანატრელი ზავი. რა თქმა უნდა ერთბაშად ბრძოლისა და სისხლის ღვრის შეწყვეტას არ უნდა ველოდეთ. უკანასკნელ განწირულების ჟამს იმპერიალისტური სახელმწიფოები ერთხელ კიდევ დასჭიმავენ თავიანთ ნერვებს, რათა რაც შეიძლება მეტი ისარგებლონ შექმნილი მდგომარეობით, რაც შეიძლება უკეთესად უზრუნველჰყონ თავიანთი მდგომარეობა. მაგრამ ამისდა მიუხედავად, მაინც იმედი ვიქონიოთ, რომ ეს არის უკანასკნელი გაბრძოლება, კონვულსიური მოძრაობისა საშინელი საერთაშორისო ქლეტისა.

საზავო ინიციატივა ხელთ უპყრია ამერიკასა და მის პრეზიდენტს ვილსონს. რა თქმა უნდა გულუბრყვილობა იქნება ჩვენის მხრით იმის მტკიცება, თითქოს ამერიკა მხოლოდ ჰუმანიური მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, როდესაც ზავზე ლაპარაკობს. ევროპა ომმა სისხლით დასცალა. მატერიალურ განადგურებასთან მოჰყვა მორალური დაღლილობა, რაც ნათლად იხატება ევროპის სახელმწიფოთა ხალხოსნურ მოძრაობაში. ამერიკა ამ მხრით უკეთეს პირობებში იმყოფება. მას ის უპირატესობა აქვს ევროპასთან შედარებით რომ როგორც მორალურად, ისე მატერიალურად, უფრო შენახული და გამაგრებულია. ცხადია მას ჰსურს ამ უპირატესობით ისარგებლოს და პირველი როლი ითამაშოს საზავო მოლაპარაკების დროს. ისედაც უკეთეს პირობებში მყოფ ამერიკას შეუძლიან, იმ რეალურ ძალთა განწყობილების გამო, რომელიც დღეს მსოფლიოში შეიქმნა, თავისი ნების ყოფა მოახვიოს ევროპას და თითქმის უბრძოლველად, უომრად ზავის პირობები უკარნახოს ყველას.

ამერიკის საზავო პირობები კი ვილსონის ცნობილ 14 მუხლში გამოიხატა. როგორც საზოგადოდ ყველა დიპლომატიური დოკუმენტი ესეც თავის წიაღში ბევრნაირ შესაძლებლობას ატარებს. თითოეული მუხლი ვილსონის პროგრამისა ბევრნაირად შეიძლება იქმნას გამოყენებული და სწორედ ამის მეოხებით არის, რომ ამერიკის უპირატესობა ეძლევა საზავო პოლიტიკის წარმოებაში. ვილსონის პროგრამაზე დათანხმება თავის თავად ნიშნავს ამერიკის ჰეგემონიასა და ამერიკის უპირატესობის აღიარებას.

კერძოდ ჩვენთვის, საქართველოსთვის. ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს იმ მუხლს, სადაც ლაპარაკია ერთა თვითგამორკვევაზე. ეს ფორმულა ყოველთვის ყოფილა და ეხლაც არის მხოლოდ **ფრაზა**, რომელსაც ყოველნაირი შინაარსი შეიძლება მისცე იმისდა მიხედვით, თუ რანაირი ძალთა განწყობილებაა ყოველ კონკრეტიულ შემთხვევაში.

ამ დებულების თვალსაზრისით რომ განვიხილოთ ჩვენი მდგომარეობა და საქართველოს დამოუკიდებლობა ვილსონის პროგრამის საზომით გავზომოთ, საქართველოს სრული უფლება უნდა ჰქონდეს და აქვს დამოუკიდებლად არსებობისა. ისტორიულადაც და ფაქტიურადაც საქართველო აღჭურვილია ყველაფრით რაც კი საჭიროა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექსაქმნელად. როდესაც საქართველოს საკითხს საერთაშორისო მასშტაბით შევხედავთ, აუცილებლად იძულებული გავხდებით ანგარიში გაუწიოთ ისეთს დიდს ფაქტორს, როგორიც არის გერმანიის მფარველობა. ჩვენ და ევროპაც ამ გარემოებას ანგარიშს გაუწევს. სწორედ ამიტომაც საჭიროა თავიდანვე ცხადად და გარკვევით დაისვას საკითხი გერმანია-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობისა. ისტორიის გამეორება საჭირო არ არის. გერმანიას ჩვენი ქვეყანა არ დაუპყრია, მას საქართველოს ოკუპაცია არ მოუხდენია. გერმანია მოიწვია საქართველომ იმ საბედისწერო ჟამს, როდესაც ოსმალეთი საქართველოს წალეკვას უპირებდა და განადგურებას. ოსმალეთის წინააღმდეგ საჭირო იყო უფრო კულტურული ხალხის ფასი და ეს ფასი საქართველომ ჰპოვა გერმანიაში.

ქართველი ხალხი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს იმ სამსახურს, რომელიც გერმანიამ გაუწია საქართველოს. მიუხედავად იმისა, რომ იგი იძულებული ჰხდება თავისი საკუთარი მოვალეობის წინააღმდეგ ემოქმედნა, იგი არ მოერიდა ამ გარემოებას და საქართველო აოხრებასა და განადგურებისაგან ფადაარჩინა. გერმანიის დახმარება რომ არ ყოფილიყო,

თარეშო მოედნად გადაიქცეოდა და ჩვენი ხალხი ისევე აწიოკებული და ავერანებული იქნებოდა, როგორც ყველა ისინი ვის ტერიტორიაზედაც გაიარა ოსმალეთის ჯარმა. საქართველო უკანასკნელ შესაძლებლობამდე ებრძოდა ოსმალეთს, ებრძოდა მაშინაც კი, როდესაც ბოლშევიკურმა რუსეთმა იგი ვერაგულად, მარტო დასტოვა და ამ განწირულების ჟამს მხოლოდ გერმანიის დახმარებით გახდა შესაძლებელი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის გადარჩენა ფიზიკური განადგურებისაგან.

მაგრამ გერმანიის დახმარებას არასოდეს არ გადაუბიჯებია მეგობრული ურთიერთობის საზღვრებიდან. საქართველომ, დღიდან თავისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, თავისი თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა და ფაქტიურად არც ერთი აგრესიული ნაბიჯი არ გადაუდგამს მეზობელ სახელმწიფოების წინააღმდეგ. საქართველო ფიქრობდა და ეხლაც ფიქრობს, რომ ნეიტრალიტეტი ის დუღაბია, რომელზეაც უნდა აშენდეს მისი დამოუკიდებლობა და დემოკრატიული წესწყობილება.

სამართლიანობა მოითხოვს აღვიაროთ, რომ თვით გერმანიასაც არასოდეს არ გამოჩენია სურვილი ნეიტრალიტეტის დარღვევისა და ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევისა.

გერმანია მოვიდა ჩვენთან როგორც სტუმარი, ჩვენისავე თხოვნით და ევროპაც იძულებული გახდება ამ ფაქტს სწორედ ამნაირის თვალსაზრისით შეხედოს. ევროპას ვერ შეუძლიან ვერც გერმანიას და ვერც საქართველოს მინუსად ჩაუთვალოს ის, რომ შეერთებულისა და შეთანხმებულის ძალღონით ქვეყანა გადაარჩინეს ბოლშევიკურ რღვევა—ოხრებისა და ოსმალეთის აოხრებისაგან. სიცოცხლის ინსტინქტი აიძულებს ყოველს ერს მიმართოს ისეთს საშუალებას, რომელიც დაიხსნის მას სიკვდილისაგან. ქართველი ერი სწორედ ასეთი საბედისწერო მომენტის წინაშე იდგა და მან უყოყმანოდ აირჩია გზა გერმანიასთან შეთანხმებისა ქვეყნის გადასარჩენად.

მახლობელ მომავალში საქართველო უნდა წარსდგეს ევროპის წინაშე და იგი აუცილებლად წარსდგება, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული ერი, რომელიც იბრძოდა თავისი თავისუფლებისთვის, და ამ ბრძოლის დროს არც ერთხელ არავის უფლება არ შეუზღუდავს და არც ერთხელ არავისკენ არ გადაუხრია თავისი სასწორი.

საქართველოს თამამად და თავისუფლად შეუძლიან უთხრას მთელ ქვეყანას, მე მხოლოდ ჩემი თავისუფლებისთვის ვიბრძოდიო.

თუ საზოგადოდ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს რაიმე გასავალი ექნება. ამ პრინციპის მიხედვით უპირველესად ყოვლისა უნდა მოეწყოს საქართველო და მისი მრავალ-ტანჯული ერი.

მთავრობაში

იუსტიციის მინისტრის მოხსენების თანახმად მთავრობამ დაადგინა გადაიდოს 16849 მ. 50 კ. ქუთაისის გუბერნიის ციხეთა შესანახად ამ წლის დამლევამდე

—

ფინანსთა სამინისტრომ დაამთავრა მთელი წყება კანონ-პროექტებისა, რომელიც ეხება გადასახადთა გადიდებას ამ საქონელზე, რაც მეტად სალდება, ხოლო პირველ მოთხოვნილების საქონელთა დარგს კი არ ეკუთვნის.

უკანასკნელი ცნობები

საალყო წესები ბორჩალოს მაზრაში

ბორჩალოს მაზრის სომხეთის საზღვარის სომხეთა ნაწილებისაგან გადმოლახვის გამო საქართველოს მთავრობამ დაადგინა აღნიშნულ ნაწილში ბორჩალოს მაზრისა გამოცხადდეს საალყო წესი.

გენერალ-გუბერნატორი ბორჩალოს მაზრაში

სამხედრო მინისტრის განკარგულებით ბორჩალოს მაზრის სამხრეთის ნაწილის გენერალგუბერნატორად დაინიშნა გენერალ-მაიორი წულუკიძე.

ომის დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

დასავლეთის ფრონტი.

დუინცის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელებმა რკინის გზაზე მოიგერიეს მოპირდაპირეთა იერიშები. ფრიჯეს ორთავე მხარეს გერმანელებმა მოპირდაპირენი უკუაქციეს კატასტრატისაკენ აქ მოპირდაპირეებს ბელგიელებიც ეხმარებოდნენ.

ტურნეს და ვალანსიენს ზარბაზნებს უშენენ

სოლემის და ლე-კატოს ორთავე მხარეს ინგლისელებმა ძლიერი იერიში მოიტანეს. გერმანელებმა ისინი უკუაქციეს ქარშეს-გრუნდესთან.

ფილიპოპოლისა და ადრიანოპოლის ნაწილის დაჭერა

გერმანიის მისიის ცნობით, მოკავშირეთა ჯარებმა დაიჭირეს ფილიპოპოლი, ხოლო ადრიანოპოლის ნაწილი—ბულგარელების ჯარებმა.

ზღვის გარშემო

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ოსმალეთის სეპარატიული ზავი.

გერმანიის მისიის ცნობით, ოსმალეთი აწარმოებს სეპერატიულ საზავო მოლაპარაკებას მოკავშირე სახელმწიფოებთან.

პარლამენტის გარშემო

დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატმა, გრ. ვეშაპელმა საქართველოს პარლამენტში წინადადება შეიტანა, რათა ცეცხლისაგან დაზარალებულ სახხერის მცხოვრებთა დასახმარებლად მთავრობის ხაზინიდან გადაიდოს 100,000 მანეთი.

გერმანელები საქართველოში

გერმანიის საიმპერატორო მისიას განკარგულება მოსვლია გენერალ ლუნდორფისა და გარეშე საქმეთა მინისტრისაგან, რომ კავკასიაში მყოფ გერმანელთა ჯარის ნაწილი გაიგზავნოს გერმანიაში. საქართველოს მთავრობის წინადადებით გენერალმა ფონ-კრესმა დეპეშა გაგზავნა გერმანიაში, სადაც თხოულობს, რომ ყველა გერმანელები კვლავ დარჩნენ, პასუხს ორ-სამ დღეში მოელიან. ყველა ამის მიზეზად იმას სთვლიან, რომ შესაძლებელია გერმანიისაკენ გზები გადასჭრან რაც მისიის აზრით შეიძლება პოლიტიკური ნაბიჯი იყოს ვილსონის მოთხოვნილებათა ასრულებისათვის გადადგმული. ყოველ შემთხვევაში გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენელი მაინც დარჩება საქართველოში.

—

როგორც გავიგეთ არც ერთი გერმანელი ჯარის კაცი არ წავა საქართველოდან.

ახალი ამბავი

◆ **ბონების გამოშვება.** გარეშე საქმეთა მინისტრი ჰკითხა ადერბეიჯანის და არარატის რესპუბლიკათა დიპლომატიურ წარმომადგენლებს, თანახმანი არიან თუ არა აღნიშნულ რესპუბლიკათა მთავრობანი, რომ საქართველოსთან შეთანხმებით გამოიცეს დამატებითი ბონები.

◆ **მანთაშევის ქარვასლაში.** საქართველოს მთავრობის მოთხოვნით მანთაშევის ქარვასლაში მოთავსებულ სომხების იარაღის და სამხედრო მასალის საწყობის სადარაჯოდან მოიხსნა სომხეთა ყარაული და საწყობების დაცვა ქართულ ლეგიონს დაეკისრა.

◆ **სომხეთა საწყობები საქართველოში.** ვინაიდან საქართველოს მთავრობამ, სომეხ ჯარის კაცების საქართველოდან გაყვანა მოითხოვა და ამიტომ სომხების საწყობების დამცველი ჯარის კაცები ერევანში იგზავნებიან, არარატის დიპლომატიური წარმომადგენელი ჯამალიანი, შუამდგომლობს საქართველოს მთავრობის წინაშე, რომ არამიანცის სახლში მოთავსებულ საწყობთან ქართველი დარაჯები იქმნენ დაყენებულნი

◆ **შუამდგომლობა სურსათის შეძენისათვის.** სომხეთა წარმომადგენელმა ჯამალიანმა საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ნება მომეცით საქართველოში სომხის ჯარისათვის ერევანში 1000 ფუთი ფქვილი და 1000 ფუთი ქარხალი გავგზავნოთო

◆ **საელექტრონო ხელსაწყო.** ჯამალიანი საქართველოს მთავრობას სთხოვს, ნება მომეცით ტფილისში საელექტრონო და საკანცელარიო ხელსაწყო შევიძინო და ერევანში გავგზავნოო.

◆ **იაფი პური.** ნოემბრის დამდეგს პური გაიყიდება გირვანქა მანეთ ნახევრად. პური სულზე ნახევარი გირვანქა გაიცემა დღეში და მიეცემა მხოლოდ სახლის კომიტეტებს.

◆ **შაქარი.** ტფილისში სასურსათო მაღაზიებსა და კოოპერატივებში შაქრის გაჩენის გამო სპეკულიანტებმა ბლომად გამოზიდეს ბაზარზე შაქარი და გირვანქას 18 მანეთად ჰყიდიან.

◆ **რკინის გზის შემოსავლის ნაწილი.** გზათა მინისტრის განკარგულებით სარკინისგზო შემოსავლის ნაწილი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, გაუქმდება და მისი ფუნქციები რკინის გზის საერთო სამმართველოს დაეკისრება.

◆ **სალამის დეპეშა სამხედრო მინისტრს.** სოხუმიდან პოლკოვნიკ წერეთელისაგან სამხედრო მინისტრს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: იოს. გედევანიშვილის და მის სახელოვან პარტიზანულ პოლკის სოხუმში ჩამოსვლის გამო გამართულ პატივსაცემად რაუტზე, რომელსაც დაესწრენ: მინისტრის ამხანაგი მახარაძე, მთავრობის წარმომადგენელი ისიდ. რამიშვილი და საგანგებო კომისარი ჩხიკვიშვილი, ვსვამთ თქვენს სადღეგრძელოს და მოგესალმებით და გამოვსთქვამთ რწმენას, რომ საქართველოს ახალგაზრდა არმია, რომელსაც თქვენ ჰმეთაურობით ბრწყინვალედ ატარებს მაღლა თავისუფლების ალამს და მით ხელს შეუწყობს ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკის აყვავებას.

◆ **შუამდგომლობა.** ნ. ძიძიშვილი და ბ. თუმანიშვილი განათლების სამინისტროს წინაში შუამდგომლობენ, რათა 25 წლის იჯარით მიეცეს მათ პირველ გიმნაზიის ის თავისუფალი ადგილი, რომელიც გოლოვინის პროსპექტზე გამოდის და გალავნითაა შემოზღუდული. ამ ადგილებზე მათ განზრახული აქვთ აავონ ორ სართულიანი შენობა ქართულის სტილით.

◆ **სომხეთა დელეგაცია.** სტამბოლიდან ტფილისში ჩამოვიდა სომხეთა სტამბოლის სამშვიდობო დელეგაციის წევრი ხატისოვი. დელეგაციის დანარჩენ წევრებსაც ამ დღეებში მოელიან

◆ **ქართული ენის კურსები მოსამართლეთათვის,** ტფილისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის ტატიშვილის თაოსნობით, იუსტიციის სამინისტროსთან არსდება ქართული ენის კურსები, სამოსამართლო უწყებისათვის ენის შესასწავლად.

◆ **პოლიტეხნიკუმში.** ტფილისის პოლიტეხნიკუმში ნოემბრის პირველიდან დაიწყება აეკონომიო ფაკულტეტზე ლექციების კითხვა.

◆ **პრაქტიკული მუშაობა.** საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი ცხინვალში, საერო მამულში ყურძნის დასაკრეფად გაემგზავრა პრაქტიკულ მუშაობის მიზნით.

◆ **ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტში.** საჩქაროდ მუშავდება საფიზიკო-სამათემატიკო ფაკულტეტთან მათემატიკურ განყოფილების დაარსების პროექტი.

◆ **პოლონეთის მოქალაქენი.** პოლონეთის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებულ იქმნენ ის მოქალაქენი, რომელთაც პოლონეთის ქვეშევრდომობის მოწმობა აქვთ.

◆ **კომპოზიტორი არაყიშვილი** რუსეთიდან ტფილისში ჩამოვიდა და თავის თანამდებობის ასრულებას შეუდგა ქართულ სამუსიკო საზოგადოების სკოლის დირექტორად მოწვეული კომპოზიტორი არაყიშვილი.

◆ **ლატარია.** ლატარიის ბილეთების გავრცელებისათვის ქუთაისს გაემგზავრნენ სალატარიო საქმეთა გამგე სოლ. ახვლედიანი, ვასო აბაშიძე და შალვა დადიანი.

— ამავე მიზნით დუშეთისა და თიანეთის მაზრებში და ყაზბეგის რაიონში გაემგზავრნენ დიმ. ჰაიპრიშვილი და ვ. ბარველი. მათ გზათა სამინისტრომ ავტომობილი დაუთმო.

◆ **გაძარცვა.** სამშაბათს ღამის პირველ საათზე სოლოლაკის ქუჩაზე ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა გაძარცვეს ვ. ბ—ია, წაართვეს 1300 მან., ოქროს ბეჭედი და საათი. გამძარცველები რუსები უნდა ყოფილიყვნენ, ეცვათ აფიცრის ტანისამოსი და ლაპარაკში ეტყობოდათ, ინტელიგენტები იყვნენ.

◆ **ლტოლვილნი.** ნავთლუღში, სასურსათო პუნქტთან, შარა-გზაზე მრავალი ლტოლვილი დაბინავებულა. სიმშილისა და ბინის უქონლობის გამო საშინელი ეპიდემია გამეფებული. საქალაქო გამგეობა მხრივ ამას ყურადღება მიექცეს.

◆ **უცხოელნი ტფილისში.** სპარსეთის გენერალურ კონსულის შუამდგომლობით, საქართველოს მთავრობამ, ამას წინად კავკავში ბოლშევიკების მიერ დატყვევებულ საფრანგეთის ვიცე-კონსულს და ინგლისის სამხედრო მისიას ნება დართო ტფილისში ჩამოსვლისა.

◆ **ნავთი კახეთში.** ილდოყანსა და მის მიდამოებში ნავთის ძებნისთვის მუშაობას ფრიად კარგი შედეგები მოჰყვა. ამის გამო მთავრობამ გზათა მინისტრის განკარგულებაში 100000 მანეთი დამატებითი კრედიტი გადასდო ამ მუშაობის გასაგრძელებლად

◆ **ნავთი ბაქოდან.** ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში მთავრობამ ნახევარი მილიონი მანეთი გადასდო ბაქოში დაკვეთილ ნავთეულობისათვის ავანსად მისაცემად. ეს ნავთი მოკლე ხანში შემოვა საქართველოში, ადერბეიჯანთან საბოლოო ხელშეკრულების დამთავრების შემდეგ.

◆ **„თეთრი გიორგი“** მგოსან გალაკტიონ ტაბიძის ინიციატივით ტფილისში დაარსდა სახელოვანი საზოგადოება „თეთრი გიორგის“ სახელწოდებით. საზოგადოების მიზანია გამოსცეს გაზეთი, წიგნები, მოაწყოს სალამოები და სხვა.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** შაბათს ოქტომბრის 26-ს სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტთა კრება. კრებაზე დასწრება ყველა სტუდენტისათვის სავალდებულოა.

გაძარცვა ოქტომბრის 23-ს დღით ბელინსკის ქუჩაზე ყოფილ ბრალმდებლის ამხანაგის კარინის ბინაზე შევიდა სამი შეიარაღებული ბოროტგანმზრახველნი, სახლში კარინის მეუღლეს, მის ქალსა და სტუმარს ხელები გაუკრეს, სახლი გაჩხრიკეს და გაიტაცეს ფული და ფასიანი ნივთები მძარცველთა შორის ერია აფიცერი გიორგის ჯვრით.

— ოქტომბრის 22-ს კიროჩნის ქუჩაზე სასტუმრო „იმპერიალში“ შევიდა ხუთი ბოროტგანმზრახველნი და ამ სასტუმროში მცხოვრებ ტომოევს წაართვეს 2000 მანეთი.

◆ **გაქურდვა** ოქტომბრის 22 ს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მომშოვიჩის სააფთიაქო მაღაზიიდან შერჩეულის გასაღებით გაიტანეს 20000 მანეთად ღირებული სააფთიაქო საქონელი

◆ **თათბირი** ოქტომბრის 27-ს ფინანსთა სამინისტროს შენობაში მოხდება თათბირი რესპუბლიკის კანცელარიების დირექტორთა თათბირი. თათბირის მიზანია განიხილონ და შეიმუშაონ ღონისძიებანი მოსამსახურეთათვის სიძვირის გამო ჯამაგირების მომატების შესახებ.

◆ **ლექცია.** კვირას, ოქტომბრის 27 ელექტრო-თეატრ „კინო-სოიუზში“ ჟურნალისტი რ. ა. ტოლკაჩნიკოვი წაიკითხავს ლექციას: „რუს-ოფიცრების ტრაღედია“ ლექცია დაიწყება დილის 12 საათზე.

◆ **ალიკო ვერულაშვილის გარდაცვალების გამო.** სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალისტ-ფედერალისტ სტუდენტთა კრებამ მოისმინა რა უდროვოდ დაკარგულ ამხანაგის ალიკო ვერულაშვილის გარდაცვალების ამბავი, ფეხზე ადგომით პატივი სცა მის ხსოვნას და შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მშობლებს და „ხალხის მეგობრის“ რედაქციას: „სახელმწიფო უნივერსიტეტის ესფერთა სტუდენტობა დასტირის ძვირფასი ამხანაგის, ალიკოს დაკარგვას ვფიცავთ მის ხსოვნას, სიკვდილამდის ვემსახუროთ მის იდეალებს. კრების პრეზიდიუმი.

◆ **მსახიობ ივანიძის დაკრძალვა.** გუშინ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს მსახიობი ი. ივანიძე, რომელიც ესპანიური ავადმყოფობით გარდაიცვალა.

◆ **ლექტორების კრება.** დღეს, საღამოს 6 ს. სახალხო სახლის ცენტრალურ შენობაში (მიხეილის პრ. 91) დანიშნულია ქართველ ლექტორთა კრება. სთხოვენ ლექტორებს ამ კრებას უეჭველად დაესწრონ.

◆ **ლოტო.** მთავრობის ნებართვით მეორე ქართულ კლუბში დღეს და ხვალ გაიმართება ლოტო ქართულ ლატარიის სასარგებლოდ, კლუბში დაუკრავს გერმანული ორკესტრი.

◆ **მკვლელობა.** ოქტომბრის 24-ს დღის 2 საათზე, ანდრეევის ქუჩაზე ი. ბატონაშვილის სასადილოში, შევიდა ვინმე მღებროვი და უმიზეზოდ გაისროლა რევოლვერი და გაიქცა. სროლის ხმაზე მილიციონერები გამოეკიდნენ მღებროვს და როცა მისი შეპყრობა მოინდომეს, მან მილიციონერებსაც სროლა აუტეხა. მილიციონერებმა სროლითვე უპასუხეს და მღებროვი იქვე მოკლეს.

◆ **კ. ფოცხვერაშვილის ქართულ-გერმანული კონცერტი სახელმწიფო თეატრში.** კვირას, ოქტომბრის 27 დილის 12 საათზე საქართველოს ჯარის სამუსიკო საქმეთა გამგის და მთავარ ლოტბარის კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება პირველად ტფილისში ქართულ-გერმანული სამხედრო სანიმუშო კონცერტი. დამკვრელთა დასების ცალ-ცალკე გამოსვლის შემდეგ, ქართულ-გერმანელთა. მრავალრიცხოვანი ორკესტრი (100 კაცი) კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულებს ქართული სამხედრო მუსიკის სანიმუშო პიესებს, შესრულებული იქნება სხვათა შორის კ. ფოცხვერაშვილის მიერ ახლად შემუშავებული ძველი ქართული ჰიმნები, იამბიკოები მუნასიპები, ქებადები, სავ-რი და სხვ. პროგრამაში შედის აგრეთვე ახლად გაორკესტრებით: ქართული ჰიმნი, ლაშქრული, ლოცვა ქართველი ერისა, თავისუფლების მარში, არმაზის ჰიმნი „კერპთა დამხობის“ ოპერიდან და სხვანი. დასასრულ დაიდგმება საუცხოო აპოთეოზი: ცხოველი სურათით ალიმართება თავისუფალ საქართველოს ძეგლის პროექტი.

◆ **მისალმება.** მთავრობის თავმჯდომარემ ქუთაისის პირველ საერობო ყრილობისაგან მისასალმებელი დეპეშა მიიღო, სადაც ყრილობის თავმჯდომარე კალანდარიშვილი აღნიშნავს, რომ ერობა მზად არის ყოველი ღონისძიება მიიღოს რესპუბლიკის განმტკიცებისა და აღყვავებისათვისაო.

◆ **გენერალ მაზნიაშვილის გაჩხრეკის გამო** ამას წინად რაღაც გაუგებარ ლაპარაკის გამო გენ. მაზნიაშვილმა ითხოვა, რომ მისი ბინა გაეჩხრიკათ. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ მაზნიაშვილის ბინის გაჩხრეკის დროს, რომელიც მოხდა მისი თხოვნის თანახმად, არაფერი აღმოჩენილა ისეთი, რაც მას არ ეკუთვნოდა და კანონიერის გზით არა ჰქონდა შეძენილი. ამიტომ ყველა ნივთები გენერლის ბინაზე დაბრუნებულ იქნა კუთვნილე ბისამებრ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კრება ნაძალადევში. პარასკევს. ოქტომბრის 25-ს საღამოს 7 ნახევარ საათზე ნაძალადევის ეკლესიის სამრევლო სკოლაში დანიშნულია ამ რაიონის სოციალისტ-ფედერალისტთა კრება. ამხ. ვაზ. კოტეტიშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მომავალი საზავო კონფერენცია და საქართველოს საკითხი“. კრებაზე პარტიის არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრონ. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

—

ტფილისის კომიტეტის სხდომა. კვირას, ოქტომბრის 27-ს პარტიულ ბიუროში დილის 12 საათზედ დანიშნულია ტფილისის კომიტეტის სხდომა. წევრებს უმორჩილესად ვთხოვთ დანიშნულ დროზედ ბიუროში მობრძანდნენ.

—

ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის კრება. კვირას დილის 11 საათზე დანიშნულია ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის კრება.

ტფილისის კომიტეტის ძველი პრეზიდიუმი სთხოვს, ახლად არჩეულ წევრებს უსათუოდ დაესწრონ ამ კრებას.

იუსტიციის სამინისტროში

მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის გარდაქმნა.

იუსტიციის სამინისტროს შეკითხვაზე, სად განხორციელდა საერობო რეფორმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მიღებულია პასუხი, რომ სამაზრო საერობო გამგეობანი უკვე შემდგარა სიღნაღის, ოზურგეთის, ქუთაისის, თელავის, სიღნაღის და შორაპნის მაზრებში.

ამის და კვალად, ხსენებულ ერობათა გაეგზავნათ მიწერილობა, რომ დაუყონებლივ აირჩიონ მომრიგებელი და საპატიო მოსამართლენი ახალ კანონითანახმად.

ადერბეიჯანის მთავრობისთვის საქმეების გადაცემა.

თანახმად იუსტიციის მინისტრის განკარგულებისა, ტფილისის სასამართლო პალატის უფროსმა თავმჯდომარემ გადასცა სათანადო აქტის შედგენით ადერ-

ეიჯანის მთავრობის წარმომადგენელი ას-ალიბეგ მაკინსკის ტფილისის სამართლო პალატაში წარმოდგენილი დღემდე დაუსრულებელი საქმეები, მლებიც შემოსული იყო პალატაში აქოს და განჯის საოლქო სასამართლოებიდან.

საგანგებო გამგეობა.

ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრმა ი. კობიაშვილმა, რომელსაც საგანგებოდ დავალებული ჰქონდა ბელიკლიუჩის რაიონში და სოხუმის ოლქში მომხდარ ამბების გამოძიება, წარმოუდგინა იუსტიციის მინისტრს მოხსენება აღნიშნულ ამბების შესახებ.

ქართული ენის კურსები.

ტფილისის ოლქის სასამართლოს ახლად დანიშნულ ბრალმდებლის მ. ა. ტატიშვილის თაოსნობით და იუსტიციის მინისტრის შ. ვ. ალექსი-მესხიშვილის დასტურით არსდება 6 თვიანი კურსები ქართულ ენის შესასწავლად სასამართლო უწყების მოხელეთათვის.

თათბირი საქართველოს სენატის დაარსების შესახებ.

იუსტიციის სამინისტროსთან დაარსდა მინისტრის ამხანაგის გ. ი. გველესიანის თავმჯდომარეობით საგანგებო კომისია საქართველოს სენატის დებულების შესამუშავებლად.

კომისიამ უკვე დაასრულა პრინციპიალურ დებულებათა განხილვა, რომლებზედაც უნდა აშენდეს საქართველოს უზენაესი სასამართლო დაწესებულება. დაწვრილებითის დებულების შემუშავება გადაეცა ხუთის კაცისაგან შემდგარს მცირე კომისიას, რომელმაც თვისისის მხრივ კვლავ დაასრულა მუშაობა და შემუშავებული პროექტი სენატის დებულებისა უკვე გადასცა კომისიის თავმჯდომარეს. ამ დღეებში მოწვეული იქნება კომისიის პრეზიდიუმის სხდომა პროექტის უკანასკნელ რედაქციის განსახილველად, რის შემდეგ სათანადო კანონ-პროექტი წარედგინება მთავრობას პარლამენტში შესატანად.

კომისიის საქმიანობას სარჩულად ედო დ. ი. უთნელიშვილის მიერ შემუშავებული პროექტი სენატის დებულებისა.

ხათერმინოლოგიო კომისია.

მინისტრის ამხანაგის ერ. ი. გველესიანისავე თავმჯდომარეობით სწრაფად მუშაობს სამინისტროსთან მეორე კომისიაც, რომელსაც დავალებული აქვს უსაჭიროეს იურიდიულ თერმინების გამორკვევა, დაბეჭდა და სასამართლოს მოხელეთათვის დარიგება კომისია ახლო მომავალში დაასრულებს საქმიანობას. კომისიაში მოწვეულნი არიან ქართულ ენის საუკეთესო მცოდნენი.

საკოდიფიკაციო განყოფილება.

თანახმად საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონისა, იუსტიციის სამინისტროსთან არსდება საკოდიფიკაციო განყოფილება, რომლის მიზანია, სხვათა შორის, კანონთა და მთავრების ზოგადის ხასიათის განკარგულებათა და გამოქვეყნება ოფიციალურ ორგანოში—უკანასკნელი პერიოდიულად გამოცა.

კონფლიქტი სომეხეთ-საქართველოს საზღვარზე

„ჟოღოვურდი ძაინის“ 43 № ეხება ბორჩალოს ინციდენტს და შემდეგსა სწერს:

„სომხეთ-საქართველოს საზღვარზე მომხდარი კონფლიქტი აღელვებს ჩვენსა და ქართველ საზოგადოებას.

პრესამ უკვე დაიწყო ამის გამო თავისი აზრის გამოთქმა და სამწუხარო იქნება, თუ მომხდარ კონფლიქტის ირგვლივ გაჩაღდა პარტიული და ეროვნული ბრძოლა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ოფიციალური ორგანო „ბორბა“ თავის მოწინავე წერილში ილაშქრებს სომხეთის მთავრობის წინააღმდეგ და მას სთვლის ამ კონფლიქტისათვის პასუხისმგებლად.

მგონი ჩვენ ვერავინ დაგვწამებს სომხეთის დღევანდელი დაშნაკცაკანური მთავრობის დაცვის სურვილს.

მაგრამ სანამ სინამდვილე გამორკვეული არ არის, ჩვენის აზრით, ნაადრევია სომხეთის მთავრობაზე თავდასხმა კობერის სადგურზე მომხდარ ამბავისთვის. ჩვენ გვინდა ვირწმუნოთ რომ ბ. ქაჯაზნუნის მთავრობა უდანაშაულოა ამ სამწუხარო საქმეში. საჭიროა სასწრაფოდ დაინიშნოს ორივე მხარის შეთანხმებით საგამომძიებლო კომისია, რომელიც გამოარკვევს ამ ინციდენტს ხოლო როცა გამოძიება გამოარკვევს საქმეს,—დამნაშავე მოხელეები პასუხისგებაში უნდა მიეცნენ და სასტიკად დაისაჯონ.

საკმაოა რაც ჩვენი ერების ბედით ითამაშეს და კიდევ განაგრძობენ თამაშს სხვა და სხვა უპასუხისმგებლო ადამიანები“.

ჩვენის აზრით სომხური გაზეთის ნაჩვენები გზა ინციდენტის გამოსარკვევად და სალიკვიდაციოდ მხოლოდ ერთი გონივრული და ორივე მხარისთვის ხელსაყრელი გზაა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენ და ჩვენ სამხრეთელ მეზობლების საზღვრის ან სხვა სადავო საკითხების გამოსარკვევათ იარაღით დაგვეწყოს ერთმანეთთან ლაპარაკი! მხოლოდ ამას ელიან, მხოლოდ ამ დროს შესტრფიან და შეჰხარიან ჩვენი საერთო მტრები და ამ სამწუხარო ინციდენტმა მათ უკვე ფრთები შეასხა, პირზე სიამოვნების ღიმილი აუთამაშა. დეე, დიდიხნის ისტორიულმა მეზობლებმა, რომელნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან საარსებო ინტერესებით, გამოიჩინონ მთელი თავისი გონიერება და კულტუროსნობა და ნუ გაახარებენ ჩვენს განსანადგურებლად მომზადებულ მტერს!

რვეულიდან: დედა ქალაქის ტრიოლეტები

1

დუზეითი. მუხამბაზი ატირებულ ხმიანი.
ავ ოცნებით განშიახლდა წყლული და იარები,—
ღამის სევდით ფიქრებს მტაცებს ჰანგი კავშნიანი,—
დუზეითი. მუხამბაზი ატირებულ ხმიანი.
შავ სიკვდილის მოლოდინში ობლად დავიარები
აღარ მნათობს ჩემი ბედის ცა ნათელი, მზიანი,—
ავ ოცნებით განშიახლდა წყლული და იარები
დუზეითი. მუხამბაზი ატირებულ ხმიანი!..

2

ძველად, თურმე, ამ ქალაქის ამწვანებულ ბაღებში
მზიურ სატრფოს უგალობდა მომღერალი ქებული
და კვნესოდა მგოსნის სული ნარნარ ბაიათებში—
ძველად, თურმე, ამ ქალაქის ამწვანებულ ბაღებში.
თეჯლისის ხმა გაისმოდა, ყველგან, ყავახანებში,—
თარის სიმზე ირხეოდა სევდა აქარებული—
მზიურ სატრფოს უგალობდა მომღერალი ქებული
ძველად, თურმე, ამ ქალაქის ამწვანებულ ბაღებში.

3

მიტომ მიყვარს საქართველოს სახელი და ხსენება—
ქამთა ხელით დასისხლული ქართლის შნო და უნარი,—
რომ მოვკვდები სამშობლოს მზე კუბოს დამესვენება—
მიტომ მიყვარს საქართველოს სახელი და ხსენება..
აქ იალბუზს სხივად ადნობს ალმასის მზე ცხუნარი.
და ფერების ელვარებით თვალს ჰკრის ჩანჩქერთ შვენება
ქამთა ხელით დასისხლული ქართლის შნო და უნარი
მიტომ მიყვარს საქართველოს სახელი და ხსენება!..

ვ. გორგაძე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ფედ. სტუდენტთა კრება

ხუთშაბათს ოქტ. 24-ს სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში მოხდა მრავალ რიცხოვანი კრება ამავე უნივერსიტეტის სოციალისტ-ფედერალისტ სტუდენტებისა. თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს ამხ. კ. კობახიძე, მდივნათ—ს. აბულაძე.

დღის წესრიგში იყო 1) გამგეობის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ. 2) მიმდინარე საკითხები. 3) ახალი გამგეობის არჩევნები.

დასაწყისში კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა უდროოდ დაკარგულ ამხ ილიკო ვერულაშვილის ხსოვნას და დაადგინა თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნოს მის მშობლებს, ქსლი გაზეთ „ხალხის მეგობრის“ რედაქციას.

ამის შემდეგ ძველი პარტიული საუნივერსიტეტო გამგეობის წევრმა ამხ. დ. მგალობლიშვილმა მოხსენება გააკეთა გამგეობის მოქმედების შესახებ, და აღნიშნა რომ, თუ რამ საერთოდ გაკეთდა გასულ წელს ქართულ უნივერსიტეტში, ყველაფერში უდიდესი ღვაწლი ჩვენს პარტიულ გამგეობას და საერთოდ სოციალისტ-ფედერალისტ სტუდენტებს უდევსო. კრებამ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და გადავიდა მორიგ საკითხზე

მიმდინარე საკითხებში შემოტანილ იქნა გასარჩევად: 1) საერთო საუნივერსიტეტო გამგეობის არჩევნებისათვის მზადება და კანდიდატების დასახელება ხანგრძლივ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კრებამ მიანდო პარტიულ გამგეობას, ამ საკითხზე წარმოუდგინოს მორიგ პარტიულ საერთო კრებას დაწვრილებითი მოხსენება; 2) დამფუძნებელ კრების სამზადისში სტუდენტების მიერ მონაწილეობის მიღების შესახებ კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ ეს საკითხი ფართო მასშტაბით გააშუქოს და მოაგვაროს ტფილისის სოციალისტ-ფედერალისტ სტუდენტთა მთავარმა ბიურომ. 3) პარტიული დისციპლინის მტკიცედ დაცვის საჭიროება, კრებებზე დროით მისვლის აუცილებლობა და პარტიულ მუშაობაში ყველა ამხანაგის მონაწილეობა—კრებამ მიიღო მხედველობაში მომავალში სახელმძღვანელოდ, 4) პარტიულ სტუდენტუა სასამართლოს დაარსების აზრი კრებამ გადასდო შემდეგისთვის განსახილველად, 5) ჩვენი პარტიის მთავარი კომიტეტის წინადადება მის განკარგულებაში ორი კვირით ათი სტუდენტის გადაცემისა კრებამ სისრულეში მოიყვანა და ათი ამხანაგი მათი სურვილისამებრ გაამწესა მთავარი კომიტეტის განკარგულებაში, 6) საკითხი პარლამენტში მომხდარ ინციდენტის შესახებ სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს რომ შეეხო ერთი ორატორი—კრებამ გადასდო შემდეგისთვის და დაავალა გამგეობას დაწვრილებითი შესწავლა ამ ინციდენტისა ღ მოხსენება მორიგ კრებაზე დასასრულ, ახალი პარტიული გამგეობის არჩევის შესახებ, კრებამ მიიღო რა მხედველობაში, რომ ყველა ფაკულტეტები ჯერ არ გახსნილა, დაადგინა, მუდმივი პარტიული გამგეობის არჩევა შემდეგში მოახდინოს, როცა ყველა ამხანაგები შემოიკრიბებიან, მანამდის კი პარტიული საქმეების გაძღოლა სახელმწიფო უნივერსიტეტში მიანდოს ძველი გამგეობის ერთს წევრს და დღევანდელი კრების პრეზიდიუმს. ამ რიგად დროებით გამგეობაში შედიან ამხ. კ. კობახიძე, დ. მგალობლიშვილი და ს. აბულაძე, მათ კრებამ მიანიჭა დროებით გამგეობაში კოოპტაციის წესით წევრების მიწვევის უფლება და უსურვა პირნათლად შესრულება დაკისრებულ მოვალეობისა.

ელვა.

მიწათმოქმედების სამინისტროში

წარსულ ოთხშაბათს, ოქტომბრის 16 პარლამენტის საფინანსო კომისიაში განაცხადა მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგმა ბ. პეტრე გელეიშვილმა, რომ მას სჭირდება 120 კაცი ქართულის მცოდნე და რადგან ვერ უშოვნია, სამინისტროს ნაციონალიზაცია შეძულებელი ხდებაო, ამასთანავე დაუმატა რომ მისთვის სულ ერთია, რომელი პარტიისაც იქმნებიან მოსამსახურენიო.

მე კარგად ვიცნობ ბ. პეტრე გელეიშვილის წარსულ მოღვაწეობას და აჰიტომ გამიკვირდა მისი განცხადება, რომ ამა თუ იმ პარტიის წევრობას მთხოვნელისთვის მნიშვნელობა არა აქვსო. ამისთანა განცხადებამ იმდენად დამაინტერესა რომ მეორე დღესვე გავეშურე ბ. პეტრე გელეიშვილისკენ, მით უფრო დავაჩქარე მასთან წასვლა, რომ, როგორც ბევრი ახალგაზრდა ინტელიგენტი, მეც, რაც პარტიზანული პოლკიდან დავბრუნდი, უადგილოდ დავდივარ და ჩემს სამშობლოში შესაფერისი ალაგი ვერ მიშოვნია; ამავე დროს ჩემზე ნაკლებად მომზადებული საუკეთესო ალაგებს შოულობენ, ალბად იმიტომ, რომ, როგორც ამბობენ, სოც. დემოკრატები არიან.

დანიშნულ საათზე შევედი მინისტრის ამხანაგის მშვენივრად მოწყობილ კაბინეთში და წარუდექი ბ. პეტრე გელეიშვილს.

და მოვახსენე შემდეგი: მე გადმომცეს თქვენი განაცხადება საფინანსო კომისიაში, რომ გჭირდებათ ქართული ენის მცოდნე ხალხი, მე გახლავართ პეტროვრადის უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის მესამე კურსის სტუდენტი, მაქვს ჩაბარებული ეგრედ წოდებული მინიმუმი. მეოთხე კურსზე გადასასვლელად, მაქვს მიღებული ორი ზაფხულის პრაქტიკა სასოფლო-სამეურნეო დარგში, აგრეთვე, როგორც მომავალ აგრონომისთვის, ჩემი მომავალი სამუშაო ასპარეზი გახლავთ თქვენი სამინისტრო, ამას გარდა სათანადო პრაქტიკა მაქვს საკანცელარიო მუშაობაში ვინაიდან უმაღლეს სასწავლებელში წასვლამდის ათი წელიწადი ვმსახურობდი სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში; რაც შეეხება ქართულ ენის ცოდნას, ვერავინ მისაყვედურებს ჩემი სამშობლო ენისარცოდნას, ამიტომ გთხოვთ გამომიყენოთ რაიმე ინტელიგენტურ მუშაობისთვის.

პეტრე გელეიშვილმა მითხრა: „მე მჭირდება ზედმიწევნით მცოდნე ქართული ენისა და რაც შეეხება იმას, თუ რომელ პარტიას ეკუთვნით, ჩემთვის სულერთია, რომელ ღმერთსაც ემსახურება კაცი!“ ეს უკანასკნელი განცხადება, არ ვიცი რისთვის, რამოდენიმეჯერ გამიმეორა: იქნებ გულწრფელიც იყო ჩემთან ბ. პეტრე გელეიშვილი, მაგრამ სამწუხაროდ მაინც ძალიან ცუდათ იმოქმედა ჩემზე.

ვერ შევიკავე თავი, არ გამღიმებოდა, ამით მგონი ცხადად გავაგებინე ბ. პეტრე გელეიშვილს, რომ მე მისი პოლიტიკური თანამოაზრე არა ვიყავი როცა გაათავა, უპასუხე: „ქართულ ენის ზედმიწევნით ცოდნას, უნდა მოგახსენოთ, ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით თუ მოსძებნით, მთელ საქართველოში ორი-სამი კაცის მეტი არავინ აღმოჩნდება და ზედმიწევნით; არაც თუ ჩვენში, რუსეთშიაც კი, სადაც არსებობენ ნაციონალური სკოლები, ცოტაა რუსული ენის ზედმიწევნით მცოდნენი.

მე არ ჩამოურჩები სხვას არც ქართულ ენაში, არც საკანცელარიო მუშაობის ცოდნაში და მაინცა და მაინც თუ ვერ გავამართლებ იმედებს, უფლება გაქვთ, როგორც მიღების ისე, ჩემი სამსახურიდან დათხოვისაც მეთქი.

„მე მომწყინდა ამდენი“... მითხრა მინისტრის ამხანაგმა და აღარ დაათავა აზრი, თანაც დაუმატა: „მე რომ მიგიღოთ, ამისთვის სასტიკი ეგზამენი უნდა გიყოთო“.

ეგზამენები მოხელეების მიღების დროს ინგლისშიც არსებობს; ეს, რასაკვირველია, კარგი რამეა, ვინაიდან, მხოლოდ ამისთანა გზით შეიძლება შესაფერისი პირების მოძებნა ამა თუ იმ თანამდებობისთვის, მაგრამ როდისმე უკეთებენ თავის პარტიის კაცებს ეგზამენს როცა სადმე იღებენ? რომ ასეთი ეგზამენები არსებობდეს, განა შესაძლებელი იქნება ის საძაგელი ანარქია, რომელიც თითქმის ყველა პროვინციებში გამეფებულა მოუმზადებელი კომისიარების წყალობით?

ეგზამენისა მე არ მეშინოდა. სიამოვნებით დავსთანხმდი, როგორც ეგზამენზე, ისე სხვა წინადადებაზე.

ამის შემდეგ გამაგზავნა კანცელარიის დირექტორთან, რომელთანაც მაშინვე შევედი და მოვახსენე ყველაფერი კანცელარიის დირექტორმა გაკვირვებით ხელები გაშალა და მითხრა, არავითარი თავისუფალი ალაგი არ გვაქვს, მხოლოდ მართალია, დაუმატა დირექტორმა, თავისუფალია ერთა ალაგი, დირექტორის თანაშემწისა, მაგრამ ამ ადგილზე ჯერ ერთი, სტუდენტებს არ მიიღებენ, (ალბად უმაღლეს სწავლის დიპლომი ყოფილა საჭირო, მაგრამ თვით დირექტორს, ან ზოგიერთს მინისტრს აქვს მგზავსი რამე?) მეორეც ამ თანამდებობაზე მიღება შეუძლია მხოლოდ მინისტრს ან მის ამხანაგს და არა მეო.

გაკვირვებული იმით, რომ პეტრე გელეიშვილმა გამომგზავნა იმისთანა კაცთან, რომელიც უფლება მოსილი არ არის ჩემს მიღებაზე, შევცქეროდი მას და იგი მე შემომცქეროდა.

ბოლოს და ბოლოს დირექტორმა ზრდილობიანად მომიშორა და მითხრა: შეიარეთ სხვა განყოფილებებში, იქნებ სადმე იყვეს თავისუფალი ალაგიო, მე კი არავითარი ალაგი არა მაქვსო. რასაკვირველია, აღარსად შემივლია, ვინაიდან აშკარა იყო ჩემთვის, რომ სურდათ ზრდილობიანად მოეშორებინეთ თავიდან.

ვერც ეგზამენს, ვერც ალაგს ვერ ველირსე და ძალიან გულნატკენი წამოვედი სამინისტროდან.

მიკვირს და ვერ გამიგია დღესაც რას ნიშნავს ბ. პეტრე გელეიშვილის განცხადება საფინანსო კომისიაში.

თუ მართლა ეძებენ საქმის მცოდნე ხალხს, რატომ ამაცდინეს იმ ეგზამენს, რომლითაც ასე მემუქრებოდნენ, ან განა არ შეეძლოთ ერთი ორი [illegible] უჯამაგიროდ მიეღეთ [illegible] დე?

მაგრამ აქ ძალაუნებურად იჭვი შეპარება ბ. პეტრე გელეიშვილის გულწრფელობაში და ვფიქრობ, რომ ის ჯერაც ვერ ასულა პარტიულ კაცზე მაღლა და სახელმწიფო კაცი ვერ გამხდარა. ერთი შენიშვნა კიდევ იქნება იმიტომ აყოვნებენ ნაციონალიზაციას, რომ იმედი აქვთ ჩვენ სოც.-დემოკრატებს, კვლავ იბრუნებენ ძველს ტაქტიკას?

ჯასო ძინძიბაძე.

სამეგრელო

თუ რანაირ პირობებში იმყოფებოდა სამეგრელო ამ უკანასკნელ ხანამდე ბოლშევიკთა ბანდების წყალობით საზოგადოების დიდ უმრავლესობას კარგად მოეხსენება. მე არ შევეხები საერთოდ საქართველოს ბოლშევიკურ მოძრაობის ძირითად მიზეზებს, რომლის გამორკვევა მე სრულიად არ ძალმიძს. მე მინდა მხოლოდ შევეხო საერთოდ ზუგდიდის მაზრის და კერძოთ დ. წალენჯიხის ბოლშევიკურ მოძრაობას, რომლის მოწამე ვიყავი. მე მინდა განუმარტო საზოგადოებას, თუ რამ გამოიწვია ხსენებულ საზოგადოებაში უკმაყოფილება საქართველოს მთავრობისადმი და როგორი დიდი როლი შეუძლია ითამაშოს პიროვნებას შეუგნებელ მასსაში. ავალაპარაკოთ ფაქტები. დ. წალენჯიხში იოსებ კვარცხალაია დიდ როლს თამაშობდა ვითომდა ორატორის სახით და ამ საზოგადოებას ეს პიროვნება თავის მფარველ ანგელოზად მიაჩნდა და ყოველთვის ლოცვა-კურთხევით იხსენიებდა მას, ამაზე დიდი კაცი მათ ვერ წარმოედგინათ. თუ რომელიმე საკითხში ვინმე კრიტიკას გაუკეთებდა იოსებს, ხალხი იტყო: „იოსებამ ასე სთქვაო და შენ რა იციო“ ასე ადვილად უჯერებდა მას შეუგნებელი მასსა. ამ ვაჟბატონს ჯერ კიდევ რეაქციის დროს ბოქაულებთან მჭიდრო და მეგობრული კავშირი ჰქონდა.

დადგა რევოლიუცია, ეს ვაჟბატონიც კვლავ მოევლინა დამცველად ამავე საზოგადოებას და კვლავ ნაჩვევ დემაგოგიურ პროპაგანდას მიჰყო ხელი, რასაკვირველია შეუგნებელი საზოგადოებაც მას ადვილად აჰყვა და აირჩია აღმასრულებელ კომიტეტში და ბევრი სხვა ადგილებიც უთავაზა. გავიდა დრო და ხანი და ამ ვაჟბატონმა თავის ჯიბის საქმე უფრო კარგად მოაწყო ვიდრე ხალხისა. ბოლოს ხალხმა შეიტყო, როგორ უღალატა თავის მფარველმა ანგელოზმა, და საიმედო პირმა.

საზოგადოებამ მას პროტესტი გამოუცხადა და კიდევაც მისდა სამწუხაროდ სულ გადაყენებულ იქნა ადგილიდან, რასაკვირველია ამ ვაჟბატონმა გამოცვლა თავისი ძალიან იწყინა „როგორ გამიბედეს გადაყენებაო“ ამბობდა გაფითრებული, მაგრამ რა უნდა ექნა; მან ისევ ნაცად ხერხს მიმართა. მყისვე გაჩნდა ქ. ზუგდიდში და შემდეგი სიტყვებით მიმართა მაზრის კომისარს: „წალენჯიხაში ბოლშევიკური მოძრაობა დაიწყო და დროებით მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულნი არიანო“.

ამით შეცდომაში შეიყვანა მაზრის კომისარი რომელიც იძულებული შეიქნა ანგარიში გაეწია ამ განცხადებისათვის და ის იყო ჯარიანი ჩამოვიდა წალენჯიხაში და მოითხოვა დაჭერა ზოგიერთი უდანაშაულო პირებისა განსაკუთრებით კი იმ პირებისა, რომლებიც კომიტეტის ახალ შემადგენლობაში შედიოდნენ. და თანახმად ზემოხსენებული კომისრისა ისინი გაგზავნილ იქმნენ ზუგდიდის ციხეში. ხალხს წინააღმდეგობის სურვილები დაებადა.

ამ ამბების შემდეგ წალენჯიხაში შეიარაღდნენ რამდენიმე პირები, ამათ მიემატა ბევრი ყაჩაღი და უკმაყოფილო ელემენტი და შეიქნა შეიარაღებული ბრბო, რომელიც ლამობდა მენშევიკურ მთავრობის დამხობას. აი მთავარი მიზეზი იმ ბოლშევიკურ მოძრაობისა, რომელიც ხდებოდა საერთოდ სამეგრელოში და კერძოდ წალენჯიხაში.

საჭიროა ხსენებულ ვაჟბატონს პასუხი მოეთხოვოს ვისგანაც ჯერ არს, და გაძევებულ იქნას პარტიიდან.

ტ. წალენჯიხელი.

ღია წერილი

პარლამენტის წევრს მ ფარნიევს.

აგვისტოს 10-ს, ტუაფსესთან ბოლშევიკურ ბრბოსთან ბრძოლაში, ვინ მაზნიაშვილის ჯარში მე დამეღუპა შვილი მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი,

[illegible] ძნელი არის ამისთანა დიდი დანაკლისი მშობლებისათვის ეს ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია. ყველა ნაცნობ მეგობრები მანუგეშებს იმით, რომ ჩემმა შვილმა შესწირა თავი სამშობლოს და არა ერთხელ ეს გამომიცხადეს გაზეთის საშუალებითაც. გაუბედურებელი მშობლები ამით ვნუგეშობთ. სამწუხაროდ, მოტყუებული ყოფილა ყველა, ვინც გმირულად თავი შესწირა ბრძოლაში და მათ მშობლებს არავითარი სანუგეშო არ ჰქონია, ვინაიდან თქვენ პარლამენტის წევრი,—ოფიციალურ სხდომაზე „უხეშ ძალას“ უწოდებთ და ოდნავადაც პატივს არ სცემთ სამშობლოს სიყვარულით ბრძოლაში დაღუპულებს. მაშ რითი უნდა ვინუგეშოთ მათმა მშობლებმა, რა ედება ჩვენ დასერილ გულს მალამოდ, როდესაც უმაღლესი ორგანოს წევრი ასე უდიერად იხსენიებთ იმ უმანკო სისხლის მღვრელებს? მათივე წყალობით თავისუფლად ზიხართ მანდ, თორემ ყაჩაღთა ბრბოები მთელ ჩვენ სამშობლოს წალეკავდა და თქვენც კარგ ადგილს მიგაბძანებდათ. მართალია თქვენ შენიშვნა მიიღეთ თავმჯდომარისაგან, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, ამისათვის გთხოვთ იმავე ტრიბუნიდან უკანვე წაიღოთ თქვენი სიტყვა და ბოდიში მოიხადოთ საქართველოს დამცველ ჯარის წინაშე.

პატივისცემით **ნიკოლოზ ოთხმეზური.**

ფოსტა

თეოდ. ჯაფარიძისას. თქვენ წერილში ბევრი სიმართლეა, მაგრამ მეტად საშინაო საკითხს ეხება და ამიტომ გაზეთში ვერ დაიბეჭდება.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთის № 353 (9 ოქტომბერი) დაბეჭდილია წერილი სათაურით „სამეგრელოში“, სადაც ავტორი ბ-ნი რ. მ—ლი, ახასიათებს რა ყოფილ კომისარს, ამბობს: ახალი კომისარი დაუნიშნავთ ნაცვლად გიორგი მაღნარაძისო“.

უნდა მოვახსენო ავტორს, რომ მას დიდი შეცდომა მოსვლია. გიორგი მაღნარაძე არ ყოფილა კომისრად და არც იქნება არას დროს. უმორჩილესად ვსთხოვ ავტორს გაასწოროს ეს შეცდომა.

პატივისცემით გიორგი მაღნარაძე.

—

მოქალაქე რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით პასუხი გავსცეთ ბ-ნ რკინის გზელს, რომელსაც „სახალხო საქმის“ 345 ნომერში წერილი მოუთავსებია კახეთის რკინის გზის მთავარ კომიტეტის წინააღმდეგ.

რადგანაც ამ წერილში აღნიშნული ფაქტები ზოგი გადამახინჯებულია და ზოგი სულაც არ შეეფერება სინამდვილეს. და რადგან ამით მას შეცდომაში შეჰყავს პატივცემული რედაქცია და აგრეთვე საზოგადოებაც, საჭიროდ მიგვაჩნია პასუხი გავსცეთ ბ. რკინის გზელის წერილს.

ბ. რკინის გზელი თავის წერილს იწყებს იმით, თითქოს კახეთის რკინის გზის მთავარ კომიტეტს დაედგინოს: „არ დაემორჩილოს მთავრობის განკარგულებას და არ დასთმოს ადმინისტრატიული უფლებებიო“. მართალია მთ. კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ის არ ეთანხმება მთავრობის განკარგულებას, მაგრამ არა იმ სახით, როგორც ამას ბ. რკინის გზელი აცნობს საზოგადოებას—არ დაემორჩილოს მთავრობის განკარგულებასო.— კომიტეტმა თავის რეზოლიუციაში უარყოფითი აზრი გამოსთქვა მთავრობის განკარგულების შესახებ, მას ეს განკარგულება შეცდომად და საზარალოდ მიაჩნია კახეთის რკინის გზისათვის და მხოლოდ ეს აცნობა მან გზათა სამინისტროს. თუ ეს უკანასკნელი არ დაეთანხმებოდა კომიტეტს, მაშინ კომიტეტი ბრძოლას კი არ უცხადებდა მთავრობას, არამედ ის პასუხის მგებელი აღარ იქნებოდა იმ შედეგებისათვის, რაც მოსალოდნელი იყო მოჰყოლოდა მთავრობის განკარგულებას.

მთ. კომიტეტი იძულებული იყო ასე მოქცეულიყო და აი რატომ:

ყველას კარგად ახსოვს, რომ კახეთის რკ. გზაზე დიდი უწესოება იყო გამეფებული, ხალხი უფასოდ მოგზაურობდა და საქონელი და ბარგიც მუქთად გადაჰქონდა; მატარებლები სპეკულიანტებმა და ლოთებმა ჩაიგდეს ხელში. ერთი სიტყვით, წარმოუდგენელი ანარქია იყო და გზაც დაღუპვის კარზე იდგა. ამ უწესოებას რამოდენიმედ ბოლო მოუღო მთ. კომიტეტმა და შედარებით გვარიანი წესრიგი დაამყარა, ხოლო სრული წესრიგი ჯერ კიდევ არ დამყარებულა. ასე რომ გზაზე წესრიგი დაცულია მთ. კომიტეტის მეცადინეობით და გავლენით. ამაში დარწმუნებულია კომიტეტი და თვით ადმინისტრაციაც.

აქედან ცხადია კომიტეტის გავლენის შესუსტება გამოიწვევდა ისევ ანარქიას გზაზე და ეს ასეც მოხდა. გზათა სამინისტროს განკარგულების შემდეგ გზაზე უწესოებამ იჩინა თავი და გაფიცვაც კი მოხდა. მთ. კომიტეტს არ შეეძლო ყველა ამისათვის არ გაეწია ანგარიში და ისე არ მოქცეულიყო, როგორც საქმის ინტერესი მოითხოვდა.

გარდა ამისა მთ. კომიტეტს კახეთის რკინის გზაზე არ მოუხდენია ადმინისტრაციის ისეთი „გაწმენდა“, როგორც ეს დიდ გზაზე მოიმოქმედეს. არიან აქ არა საიმედო ადმინისტრატორები, რომელთაც შეუძლიათ საქმის წახდენა, თუ კი ამის საშუალება მიეცემათ. ასეთ პირობებში კომიტეტს რომ უარი ეთქვა ადმინისტრატიულ უფლებებზე, ეს იქნებოდა მისი მხრით თავის მოვალეობისა და საერთო მდგომარეობის შეუგნებლობა და ღალატი საერთო საქმისადმი, ამიტომ მან ეს არ მოიმოქმედა და თავისი აზრი აცნობა გზათა სამინისტროს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რასაც ბ. რკინის გზელი ამბობს.

ბ. რკინის გზელი იგონებს გურჯაანის სარაიონო ყრილობის მიერ ადგილობრივ კომიტეტის გამოცვლას, რომელსაც, თურმე, „არასასურველ საქციელს აბრალებდნენ“ და ამბობს, რომ მთ. კომიტეტი ჩაერია საქმეში და როგორც სურდა ისე დააბოლოვა საქმე. ძველი კომიტეტი ისევ თავის ადგილზე დარჩაო.

გურჯაანის ადგილობრივ კომიტეტის მოქმედებაში მთ. კომიტეტი ვერა ხედავდა „არასასურველ საქციელს“ და მას წინააღმდეგ არავითარი დასაბუთებული ბრალდება არ წამოუყენებიათ. იყო ჭორები, მაგრამ ჭორებს, რომელსაც ყველა კომიტეტების წინააღმდეგ ავრცელებდნენ და დღესაც ავრცელებენ, მთ. კომიტეტი ვერ გაუწევდა ანგარიშს. ხოლო კომიტეტის გამოცვლა მოხდა ზოგიერთ დემაგოგთა წყალობით უკანონოდ და ამიტომაც გავიდნენ ახალ კომიტეტში დემოკრატიისათვის, მეტი რომ არა ვსთქვათ, სრულიად უცნობი პირები.

რადგან არჩევნების წესიც დარღვეული იყო და ყრილობას არც მთ. კომიტეტის წარმომადგენელი დასწრებია, ამიტომ ეს არჩევნები არ დაამტკიცა მთ. კომიტეტმა, ძველი კომიტეტი თავის ადგილზე დასტოვა და ამით დემაგოგთა და რეაქციონურ ელემენტთა მისწრაფება ჩაფუშა.

ბ. რკინის გზელი განაგრძობს: „შემდეგ ზოგი აიძულეს სამსახურიდან წასულიყო, ზოგი გადაიყვანეს და ზოგიც ისე დატუქსეს და ასე „ბუნტოვშიკები“ დააშოშმინესო“.

მთ. კომიტეტმა მართლაც გადაიყვანა გურჯაანიდან ნავთლუღში ორი მუშა ტერ—ლი და ლა—ლი. ესენი ცნობილნი იყვნენ გზაზე, როგორც ზარმაცები და მუშებში არევ-დარევის შემტანნი. ამათი მეოხებით რამოდენიმეჯერ უთავბოლო და ანარქიული გაფიცვები და გამოსვლებიც კი მოხდა გზაზედ. მათი წაქეზებით მუშებმა კინაღამ ჩაჰქოლეს მეორე უბნის უფროსი და მისი საქმის მწარმოებელი. მათივე ინიციატივით მოხდა გურჯაანის სარაიონო ყრილობა და კომიტეტის გამოცვლაც. ერთი მათგანი სულ დაითხოვა კომიტეტმა გზიდან, რადგანაც მან ნავთლუღშიაც განაგრძო ცუღლუტობა და თითო კვირაობით სოფელში მიდიოდა ადმინისტრაციის დაუკითხავად და ნებადაურთველად.

ნუ თუ ბ. რკინის გზელს ასეთი მუშების დაცვა მუშათა ინტერესების დაცვა ჰგონია?!

მთ. კომიტეტი არ იქნებოდა რევოლიუციონური ორგანო, თუ ის არ შეებრძოლებოდა ისეთ ელემენტებს, რომელნიც ჰქმნიდნენ გზაზედ არევ-დარევას, ხელს უწყობდნენ შრომის ნაყოფიერების დაცემას და უზომო და შეუფერებელ მოთხოვნილებათა წამოყენებას.

ცხადია აგრეთვე, რომ, თუ ასეთი ელემენტები ვერ შეეგუენ კომიტეტს და იძულებული გახდენ გზიდან წასულიყვნენ, ამაში კომიტეტი დამნაშავე არ არის.

რკინის გზელი გვისაყვედურებს სამი მოხელის დათხოვას და კერძოთ ინჟინერ თუმანიშვილზე ამბობს, თითქოს ის კომიტეტმა აიძულა სამსახურიდან წასულიყო.

რკინის გზელმა, უნდა იცოდეს, რომ იმ სამი მოხელის შესახებ, რომელსაც ის გულისხმობს, გამოძიება სწარმოებდა და მათ წინააღმდეგ საკმაო დასაბუთებული ბრალდებებია წაყენებული.

რაც შეეხება ინჟ. თუმანიშვილს, ის კომიტეტმა კი არ აიძულა წასულიყო გზიდან, არამედ უფროს გზის გამგეობამ, რომელიც არ სცნობდა მას „საქმის მცოდნედ“ და გზის კარგ მეურნედ ინჟ. თუმანიშვილი თავის ნებით წავიდა გზიდან და ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია მის შესახებ გაზეთებში წერა. ხოლო უნდა ითქვას, რომ თუმანიშვილს კომიტეტთან მუშაობა არ ეხერხებოდა. ეს მას საჯაროდაც გამოუთქვამს.

„თავმჯდომარემ და მდივანმა ჯამაგირები მოიმატესო“ ამბობს რკინის გზელი. მათ თავისით არ მოუმატებიათ ჯამაგირები და არც მონაწილეობა მიუღიათ ამ კითხვის გადაწყვეტაში მთ. კომიტეტმა საჭიროდ დაინახა მიემატებია მათთვის ჯამაგირები იმიტომ, რომ ისინი ზედმეტ შრომას ეწეოდნენ კომიტეტის წევრთა უმრავლესობა (სულ 11 კაცია კომიტეტში, ამათგან 6 გვარდიელია) გვარდიაში ირიცხება და ისინი ხშირად სხვა და სხვა ფრონტებზე იგზავნებოდნენ. ამის გამო კომიტეტის კრებები სისტემატიურად აღარ ხდებოდა და ეს იწვევდა საქმეების დაგროვებას, ამიტომ კომიტეტმა გადასწყვიტა დროებით გაეფართოებინა პრეზიდიუმის უფლებები და მიენდო მისთვის ყოველივე საქმის წარმოება.

პრეზიდიუმს დიდი მუშაობა დააწვა თავზე. მთელი გზა ფაქტიურად მის ხელში გადავიდა. ამიტომ კომიტეტმა საჭიროდ და სამართლიანად სცნო ზედმეტი შრომის საფასურად ცოტა მაინც მიეცა მათთვის და დაუნიშნა მათ ყოველ დღიურად ხუთ ხუთი მანეთი, რაც სრულიადაც არ მიაჩნია მას დანაშაულად.

რკინის გზელი მოურიდებლად და სრულიად უსამართლოდ ლანძღავს გზის ეხლანდელ გამგეს და მის დანიშვნას კომიტეტს აწერს. ეხლანდელი გამგე დაინიშნა გზის გამგეობის მიერ და ამის შესახებ მთ. კომიტეტს აცნობეს მხოლოდ.

შემდეგ რკინის გზელი ეხება კოოპერატივის ოპერაციებს და ამბობს, რომ ეს „ოპერაციები მიაფუჩეჩეს და იქ ჩადენილი საძაგლობა მიჩქმალესო“. საკვირველია წეროვ! ნუ თუ რკინის გზელისთვის არ არსებობს არავითარი გრძნობა პასუხისმგებლობისა? არ შეიძლება რკინის გზელმა არ იცოდეს, რომ ამა წლის 7 ივლისის საზოგადო კრებაზე არჩეულმა სარევიზიო კომისიამ დაწვრილებით გამოიკვლია კოოპერატივის „ოპერაციები“ და შიგ ვერავითარი „საძაგლობა“ ვერ აღმოაჩინა. იქნებ კომისიამაც მიაფუჩეჩა საქმე? არა გვგონია,—კომისია, რომელშიაც სხვათა შორის, შედიოდნენ კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის პიროვნებაც და აგრეთვე კომიტეტის მოწინააღმდეგენიც,—რამეს მიაფუჩეჩებდა. ყოველ შემთხვევაში რკინის გზელს და კამპანიას ჰქონდა საშუალება აგვისტოს 8 საზოგადო კრებაზე ხმა ამოეღოთ „ჩადენილი საძაგლობის“ შესახებ და მაშინ საზოგადო კრება მადლობას აღარ გამოუცხადებდა კოოპერატივის გამგეობას.

რიგიანობა მოითხოვდა რკინის გზელს დაე აბუთებია ასეთი მძიმე ბრალდება, თუ კი მას რამე მოეპოვებოდა.

დასასრულ რკინის გზელი მთავრობასაც კი მიმართავს—რევიზია დანიშნეო და წერილს ასე ათავებს: „უნდა გაიწმინდოს კახეთის რკინის გზა, უნდა გასუფთავდეს მავნე და ჭუჭყიან ელემენტებისაგან, სამშობლო, პოლიციელმა სახელმწიფომ ბევრი ზნეობით სნეული დაუტოვა ჩვენ ერსაო“—და სხვა.

მართლაც პოლიციურმა სახელმწიფომ ბევრი დაგვიტოვა ზნეობით სნეულნი და სულით მახინჯნი და სწორედ ასეთებს ებრძოდა და ებრძვის მთ. კომიტეტი კახეთის გზაზედ. მან კიდეც განდევნა გზიდან ზოგიერთი „მავნე და ჭუჭყიანი“ ელემენტები და იმედი აქვს ასეთებს შემდეგშიაც განდევნის.

ხოლო თუ რკინის გზელს ასეთი ელემენტი ევულება კომიტეტის მხარეზე, მაშინ იქონიოს მოქალაქობრივი გამბედაობა და გამოვიდეს მათ წინააღმდეგ დასაბუთებული განცხადებით.

რაც შეეხება რევიზიას, კომიტეტს არ ეშინიან არავითარი რევიზიის, რადგან მას, თუ რამე გაუკეთებია თორემ არაფერი წაუხდენია.

მხოლოდ უკეთესი კი იქნებოდა რკინის გზელი ნიღაბს აიხდიდეს და ისე გამოვიდოდეს სამშობლოს დასაცავად. თავისუფალ საქართველოში არავინ დაუწყებს მას დევნას მავნე და ჭუჭყიან ელემენტებისაგან სამშობლოს დაცვისათვის

კახეთის რკინის გზის
მთავარი კომიტეტი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე; მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი მრევლიშვილი მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

ექიმი ლ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სომხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმი ი. ი. ზერიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დიდ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 34. 301

ექიმი მ. ზ. ვეშხვაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან ნაშუადღევის 5½ საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზნეზდის ქ. № 19. 992

ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1214

ექიმი ქალი რ. ზ. შიშლო.-ხაბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ეოევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმი დ მიტრი იოსების ძე ჭორღანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლულობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდიბე ტელ. 104. 2040

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლულობით, გულისა, ფილტვისა, კარგებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი ძმისკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. ზ. მიქრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით, თავის ტვინის ტიპისა, დიდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ხაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

თვალის სამკურნალო მუდმივი სამოლით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი მ. ა. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის **ა. ლივშიცისა** მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაქირავლებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის

მოსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 5, ერევნის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ხ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ე. ი. მაზნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა

ბ. ზ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ს. გ. ავეტიხიანი 9—11 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთ:

ს. გ. ავეტიხიანი: 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

შეკრება

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ხუთშაბათს, ოქტომბრის 31-ს, შუადღის 12 ს. გამგეობის ბინაზე მოხდება **შეჯიბრება** ტფილისის მ-9 უბანში მდებარე ქალაქის სახლის იჯარის გასაცემად (რეუტოვის ქ. № 15).

პირობები და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საიჯარო და საიწო განყოფილების კანცელარიაში მუშაობის დროს. 1353

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.